

რისმავ გორდეზიანი
(საქართველო)

ირმა რატიანი, ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული
პროცესი, თბილისი, 2015
(გამოხმაურება)

პროფესორ ირმა რატიანის წიგნი წარმოადგენს ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განხილვის მნიშვნელოვანსა და საყურადღებო ცდას. ვფიქრობ, პირველად ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, ხდება მთელი ქართული ლიტერატურის (დასაბამიდან დღემდე) სისტემური ანალიზი მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ. აქედან გამომდინარე, წიგნი ბევრ ისეთ, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქტუალურ, საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, რომელთაც ადრე, ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევისას, ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა წიგნში წარმოდგენილი ორი ცნების განხილვა: “Weltliteratur” და „მსოფლიო ლიტერატურა“. გოეთეს მიერ შემოთავაზებულმა ამ ტერმინმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი ლიტერატურათმცოდნეობაში. ირმა რატიანი წარმოგვიდგენს მისი გააზრების ისტორიის საინტერესო, მე ვიტყვოდი, სრულყოფილ განხილვას და გვთავაზობს იმ ძირითად თეზისს, რომელიც მთელი მისი წიგნის საფუძველია. ამ თეზისის თანახმად, ქართული ლიტერატურა „მთელი თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ცდილობს იყოს გლობალური, მნიშვნელოვანი, გავლენიანი ლიტერატურული პროცესების შუაგულში“ (გვ. 26). ასევე, საყურადღებოდ მიმაჩნია ავტორის მიერ ცნების – „ლიტერატურული კანონი“ განხილვა. როგორც ცნობილია, ამ ცნებამ ელინისტური ეპოქის ბერძენ ავტორთა „აღექსანდრიული კანონიდან“ დღემდე, განვითარებისა თუ ტრანსფორმაციის ვრცელი გზა გაიარა. ირმა რატიანი წარმოგვიდგენს მისი გააზრების უახლეს მდგომარეობას, რის შემდეგაც გადადის იმის წარმოჩენაზე, თუ როგორ განვლო ქართულმა ნაციონალურმა ლიტერატურულმა კანონმა, როგორც მყარმა ნაციონალურმა სისტემამ და მასთან ერთად, ქართული იდენტობის იდეამ, ჩამოყალიბების რთული გზა ქართული ლიტერატურული ისტორიის ათ ძირითად ეტაპზე, ქრისტიანული მწერლობის ფორმირებიდან, პოსტსაბჭოთა და პოსტკოლონიურ ქართულ მწერლობამდე. ავტორი გვთავაზობს თითოეული ამ ტიპის უაღრესად საინტერესო და სიახლის სულით აღსავსე ანალიზს ევროპულსა და აღმოსავლურ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. თუკი წიგნის პირველ ნაწილში ავტორი, ძირითადად, ლიტერატურული ისტორიის თეორეტიკოსად წარმოგვიდგება, მეორე ნაწილში იგი ცალკეული ლიტერატურული ტექსტების საშური სიღრმით ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

ჩემი აზრით, უახლესი ლიტერატურული მიმოხილვის მასშტაბით, არაერთი კარდინალური საკითხის დასმითა და ახლებური კვლევით, ირმა რატიანის წიგნი თავის ადგილს დაიმკვიდრებს საუკეთესო ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომებს შორის.